

F171  
1987



ISSN 0206-2674

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
ბრძანებათა და ინსტრუქციათა

**კ რ მ ბ უ ღ ი**

**8**

**С Б О Р Н И К**

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА  
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



რედაქტორი ზ. ალაღაშვილი

РЕДАКТОР З. АЛАДАШВИЛИ

ტექნოლოგიური დ. ბაკურაძე  
Техредактор А. БАКУРАДЗЕ

კორექტორები: ლ. დოლიძე,  
ბ. დვალისხვილი

Корректоры: Л. ДОЛИДЗЕ,  
Б. ДВАЛИШВИЛИ

გადაეცა ასაწყობად 15.05-87 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.07-87 წ.;  
ანაწყობის ზომა 6<sup>1</sup>/<sub>4</sub>×9; ქაღალდის ზომა 60×84; საბეჭდი თაბახი 3,75;  
სააღრიცხველ-საგამომცემლო თაბახი 3,5

შეკვეთა № 344

უფ 11038

ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7  
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе, № 7



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის  
 საქართველოს სსრ მანრობის სამინისტროს კოლეგიის  
 საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის  
 სამინისტროს კოლეგიისა და ცეკავშირის  
 გამგეობის ერთობლივი გადაწყვეტილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 ივნისის № 418  
 დადგენილების „მეთორმეტე ხუთწლიანი პერიოდისათვის რესპუბლიკის  
 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, უმაღლეს და სპეციალურ  
 სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა და სტუდენტთა  
 საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის შემადგომი  
 გაუმჯობესების თაობაზე“ პრაქტიკულად  
 განხორციელების ღონისძიებათა შესახებ

18 მარტი 1987 წელი

F-5497

გაერთიანებული სხდომა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ  
 ზემდგომი ორგანოების შესაბამისი დადგენილებების შესასრუ-  
 ლებლად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკო-  
 ლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებუ-  
 ლებებში მოსწავლეთა და აღსაზრდელთა საზოგადოებრივი კვების  
 გაუმჯობესებისათვის გატარებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რის  
 შედეგადაც მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა. განმტკიცდა მა-  
 ტერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფართოვდა იმ საწარმოთა ქსელი, რომ-  
 ლებიც გადაყვანილი არიან კომპლექსური კვების რაციონზე. მომზად-  
 და და სკოლებს დაეგზავნა მეთოდოლოგიური რეკომენდაციები სააბონე-  
 მენტო სისტემის ორგანიზაციის სრულყოფის შესახებ ლატვიის სსრ  
 მუშაობის გამოცდილების განზოგადებისა და პრაქტიკაში დანერგვის  
 მიზნით.

ქობულეთის, ზუგდიდის, მაჩარაძის, საგარეჯოსა და ზოგიერთ  
 სხვა რაიონებში დამკვიდრდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურ-  
 ნეობების ხარჯზე გაჩანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეების  
 ცხელი კერძებით უფასოდ კვება.

ამასთან, ნელი ტემპით ვითარდება ზოგადსაგანმანათლებლო  
 სკოლებში საზოგადოებრივი კვების ქსელი. სისტემატურად როდი

საქ. სსრ კ. მარქსის  
 სახ. სახ. რესპუბ.  
 ბიბლიოთეკა



საქართველოს  
გარემოსდაცვითი  
ცენტრალი

სრულდება საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 9 ნოემბრის № 757 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 27 მაისის № 354 დადგენილებებით განსაზღვრული მეთვრამეტე ხუთწლედში საზოგადოებრივი კვების ქსელის გაზრდის გეგმიური დავალებები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1981—1985 წლებში გათვალისწინებულ 60 ათასი დასაჯდომი ადგილის ნაცვლად მატებამ 26,8 ათასი ადგილი, ანუ 45 პროცენტი შეადგინა. მაშინ როდესაც მოსწავლეთა ადგილების გეგმა 101,1 პროცენტით შესრულდა. საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ადგილებით უზრუნველყოფა მაქსიმალური ცვლის 1000 მოსწავლეზე მხოლოდ 58 პროცენტს შეადგენს.

განსაკუთრებით არადაამაკმაყოფილებლად სრულდებოდა წლების მიხედვით გეგმიური დავალებები ადგილების მატებაზე 1981—1985 წლებში. ქ. თბილისში გეგმიური 19290 ადგილიდან ფაქტობრივად შესრულდა 3654, ანუ 30 პროცენტი; ქუთაისში — 2640-დან — 555, ანუ 21%; გორში 880-დან — 270, ანუ 31%; ბორჯომში 700-დან—130, ანუ 19%; მახარაძეში 490-დან — 86, ანუ 18%; ცხაკაიაში 680-დან ფაქტობრივად 42, ანუ 6,2%.

დასაჯდომი ადგილების გეგმა ეგრე შეასრულეს ადიგენის (645—399), ამბროლაურის (514—254), ახალქალაქის (2563—680), ანგეთის (1575—1018), ბოგდანოვკის (1186—308), გარდაბნის (3945—1486), მარნეულის (3267—820) და ზოგიერთმა სხვა რაიონებმა.

აუზბაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების, ვაჭრობის, სამომხმარებლო კოოპერაციისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა და აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის სრულყოფისა და განვითარების დაჩქარების საქმეს.

დღემდე არ არის აღმოფხვრილი დაბალი ხარისხის საკვების დამზადების, კერძებისა და ნაწარმის მომზადებისას საჭარო ნედლეულის დაკლების, წონასა და ანგარიშში მოტყუების ფაქტები. ადგილი აქვს აგრეთვე დარღვევებს საკვების რაციონის შედგენის დროს. კერძოდ, ყოველთვის როდი ხდება ბავშვების ასაკობრივი თავისებურებების, კერძების შედგენილობის, მოცულობისა და კალორიულობის გათვალისწინება.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურები და სკოლების სამედიცინო პერსონალი არასაკმარის მუშაობას ეწევიან სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1983 წლის 24 აპრილის № 189 ბრძანებით დამტკიცებულ „სამედიცინო პერსონალის სკოლაში მუშაობის ინსტრუქციის“ შესასრულებლად. სისტემატურად როდი ამო-



წმებენ კვების კომბინატებში, საბაზო და სასკოლო სასადილოებში, ბუფეტებში სანიტარიული წესების დაცვას, კვების პროდუქტების დამზადების ხარისხს, გადატანის პირობებსა და კვების ბლოკებში პროდუქტების შენახვისა და გაცემის წესებს.

სანიტარიული წესების უზრუნველყოფა, კვების პროდუქტებისა და მათი დამზადების უზარისხოვამ უკანასკნელ წლებში სკოლამდელი დაწესებულებების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აღსაზრდელთა და მოსწავლეთა ჯგუფური მოწამვლის შემთხვევები გამოიწვიეს კასპის, ყვარლისა და ზოგიერთ სხვა რაიონებში. სანიტარიული წესების დარღვევებს ადგილი ჰქონდა აჭარის ასსრ, ადიგენის, ცხაქაიას, ახმეტის, ტყვარჩელის, გუდაუთის, ლაგოდეხის, ახალქალაქის, საჩხერის რაიონებისა და ქალაქების — თბილისისა და ვაგრის რიგ სკოლებში.

ხარვეზები მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებში გამოწვეულია იმითაც, რომ კვების ბლოკებს არ გააჩნიათ საჭირო სავაჭრო ტექნოლოგიური მოწყობილობანი. ასე მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის სკოლებს დღეის მდგომარეობით აკლიათ კარადამაცივარი 10 ცალი, ელექტრომადულარა — 20, ელექტროსაშრობი — 20, ქ. ქუთაისს — ელექტროსაშრობი — 10, ვიტრინმაცივარი — 5, დახლმაცივარი — 4 და კარადამაცივარი — 6; თელავის რაიონს ელექტროქურა — 14, დახლმაცივარი — 3, კარადამაცივარი — 2. მეტნაკლებად ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რაიონებში.

რესპუბლიკის კვების საწარმოებში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული სასკოლო სასადილოების შეუფერხებელი მომარაგება კარტოფილით, ბოსტნეულით, მწვანეხეხილით, ხილით, თევზის ფილეთით, დოზირებული სოსისით, წვრილად დაფასოებული რძის მკავეულით და სხვა მაღალხარისხოვანი პროდუქტებით.

ხშირად კვების ობიექტებში შეაქვთ ასორტიმენტით აკრძალული პროდუქტები: თევზის კონსერვები, ლიმონათი, ნამცხვარი, სალუჭი რეზინი, შოკოლადი და მრავალი დასახელების კანფეტები (ყაზბეგის, თიანეთის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებში).

სახალხო განათლების განყოფილებისა და ვაჭრობის ორგანიზაციების უყურადღებობის გამო რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში, საჭირო მანქანების უქონლობის გამო (განსაკუთრებით სოფლად), დღემდე მოუგვარებელია კვების კომბინატებიდან და საბაზო სასადილოებიდან პროდუქტების დროული ტრანსპორტირება, რის გამოც სკოლების მზარეულებსა და მებუფეტეებს პროდუქტები დაგვიანებით გადააქვთ შემხვედრი ტრანსპორტით, ამასთან სანიტარიული ნორმების დარღვევით.

კვების სწორ ორგანიზაციას და კულტურულ მომსახურებას ისიც



აფერხებს, რომ წლების მანძილზე კვების ობიექტებში დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკები მუშაობენ, დღემდე არ არის ჩატარებული მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და ჯანმრთელობის შემოწმების ერთიანი სისტემა.

რესპუბლიკის სახალხო განათლების, სამომხმარებლო კოოპერაციისა და ვაჭრობის ადგილობრივ ხელმძღვანელ მუშაკთა შეუთანხმებელი მუშაობის გამო ხედვომ ინსტანციებში (განათლების სამინისტრო, ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა) მათი ხელმოწერით გამოგზავნილი ერთი და იგივე სახის სტატისტიკური ანგარიშები სრულიად განსხვავებულია და არ ასახავს ადგილებზე მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების დარგში არსებულ რეალურ მდგომარეობას.

სკოლის ხელმძღვანელთა მიერ ჭეშოროვანი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში მშობელთა აქტივის, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და მოსწავლეთა კომიტეტების აქტიურად ჩაბმას, ხელი ტეპით ინერგება თვითმომსახურება, კვების კულტურა და რეჟიმი.

ბავშვთა საზოგადოებრივი კვების დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გაძლიერდეს საქართველოს სსრ განათლების, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებისა და ცეკავშირის გამგეობის ერთობლივი, შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს სსრ განათლების, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების კოლეგიებმა და ცეკავშირის გამგეობამ გადაწყვიტეს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 ივნისის № 418 დადგენილება „მეთორმეტე ხუთწლედის პერიოდისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა და სტუდენტთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, კოოპკავშირებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლებისა და ვაჭრობის განყოფილებებმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებმა, სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის განყოფილებებმა, ქალაქ თბილისის განათლებისა და ვაჭრობის სამმართველოებმა:

2. 1. შეიმუშაონ ღონისძიებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 ივნისის № 418 დადგენილების „მეთორმეტე ხუთწლედის პერიოდისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში,

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის. მიმდინარე წლის 1-ლ ნოემბრამდე შეისწავლონ ადგილებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში მოსწავლეთა კვების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა, სანტარიულ-ჰიგიენური პირობები და შეადგინონ კონკრეტული ვეგემები საზოგადოებრივი კვების ქსელის, სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის, დასაჯდომი ადგილების გაფართოებისათვის მიშენება-რეკონსტრუქციის საჭიროებაზე თითოეული ობიექტის მიხედვით და წარუდგინონ საქალაქო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს დასამტკიცებლად იმის გათვალისწინებით, რომ დასაჯდომი ადგილების რაოდენობამ 1990 წელს ნორმატივამდე მიაღწიოს.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების, ვაჭრობის სამინისტროებმა, კოოპკავშირებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლებისა და ვაჭრობის განყოფილებებმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების, სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის განყოფილებებმა, ქალაქ თბილისის განათლებისა და ვაჭრობის სამმართველოებმა:

3. 1. სარემონტო სამუშაოების, მოქმედი შენობების რეკონსტრუქციისა და ახალი სასადილოების მიშენება-მიშენებლობის დროს გაითვალისწინონ მექანიზებული კომპლექტაციის, სადილთა გასაცემი ხაზებისა და ნახმარი ჭურჭლისა და სხვა ნარჩენების შეგროვებისათვის ტრანსპორტირების (გადამტანების) მოწყობა, რაც შეამსუბუქებს საზოგადოებრივი კვების მუშაკთა შრომასა და დააჩქარებს მომსახურების პროცესს.

3. 2. განახორციელონ ღონისძიებანი ყველა საზოგადოებრივი კვების ობიექტების ცივი და ცხელი წყლით უზრუნველყოფისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყონ კვების ობიექტები მოცულობითი კასრებით (ბაკებით) წყლის მარაგის შესანახად სანიტარიული ნორმების მკაცრი შესაბამისობით.

3. 3. გააფართოონ კვების კომბინატებისა და საბაზო სასადილოების ქსელი ადგილობრივი მოთხოვნების სრული დაკმაყოფილების გათვალისწინებით.

3. 4. კვების კომბინატებსა და საბაზო სასადილოებში გააუმჯობესონ კვების პროდუქტების ტექნოლოგიური დამუშავება, ხარისხიანი კერძებისა და ნაწარმის დამზადება და სასკოლო სასადილოების მომარაგების ორგანიზაცია.

3. 5. უზრუნველყონ სასკოლო სასადილოების მომარაგება ბოსტნეულით, დოზირებული სოსისით, რძისა და წვრილად დაფასობული პროდუქტებით, ხილით.



საქართველოს  
პოლიტიკის  
აქტიური  
ცენტრი

3. 6. აკრძალონ სასკოლო სასაფლაოებსა და ბუფეტებში საჭონის გაყიდვა, რომელიც სასკოლო კვების ასორტიმენტით არ არის გათვალისწინებული.

3. 7. დააკომპლექტონ სასკოლო სასაფლაოები და საბაზო საწარმოები საჭირო კვალიფიციური კადრებით, ჩაატარონ სისტემატური მუშაობა მათი კვალიფიციის ამაღლებისათვის.

3. 8. უზრუნველყონ სასკოლო სასაფლაოებისათვის აუცილებელი მოწყობლობების გამოყოფა ტექნიკური აღჭურვილობის ნორმების შესაბამისად იმის გათვალისწინებით, რომ 1990 წლისათვის სასკოლო სასაფლაოების აღჭურვილობა ნორმატივებს შეესაბამებოდეს.

3. 9. მიიღონ გადამჭრელი ზომები კვების კომბინატებიდან და საბაზო სასაფლაოებიდან სკოლებამდე კვების პროდუქტების გადატანისათვის სპეციალური ტრანსპორტის უზრუნველსაყოფად, სასტიკად აკრძალონ მათი სხვა დანიშნულებით გამოყენება.

3. 10. 1987 წლის 1-ლ აგვისტომდე უზრუნველყონ სასკოლო სასაფლაოებში ტექნოლოგიური დანადგარების შეკეთება.

4. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებმა გაატარონ თანმიმდევრული ღონისძიებანი მოსწაველთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის სრულყოფის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, დასაჯლოში ადგილების გაზრდის გეგმიური დავალების შესრულებისა და მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვის პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

4. 1. ყოველდღიური კონტროლი დააწესონ დაწყებითი კლასებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ბავშვთა კვების ხარისხის გაუმჯობესებაზე, დროულად აღმოფხვრან ამ დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

4. 2. მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით სკოლის წესდებისა და დღის რეჟიმის შესაბამისად მტკიცედ დაიცვან გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასაფლაოებისა და ბუფეტების ლამაზად გაფორმებას, მოსწავლეთა მიერ კვების ესთეტიკისა და პურპროდუქტების რაციონალურ გამოყენებას, აქტიურად ჩაებან ამ საქმეში მშობელთა სასკოლო კომიტეტები, პედაგოგები, ექიმები და მოსწავლეთა ორგანიზაციები.

4. 3. სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ვაჭრობის პროგრესული ფორმის — სააბონემენტო სისტემის დასაწერად.

4. 4. ფართოდ მიიზიდონ კოლმეურნეობები სოფლის სკოლების სასაფლაოთა მშენებლობისა და იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლე-



ბის მოსწავლეთა კვების ორგანიზაციისათვის, რომლებიც კოლმეურ-  
ნობათა ტერიტორიაზე მდებარეობენ და დიდი მანძილით არიან და-  
ცილებული სამომხმარებლო კოოპერაციების საზოგადოებრივი კვების  
საწარმოებს.

4. 5. გააძლიერონ კონტროლი უფასო და შეღავათიანი კვებისა-  
თვის გამოყოფილი სახსრების სრულ და დროულ გამოყენებაზე.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ჩანმრთელობის დაცვის სამინის-  
ტროებმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ჩანმრთელობის  
დაცვის განყოფილებებმა.

5. 1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 ივნისის № 418 დადგენილების საფუძველზე გააძლიერონ სახელმწიფო  
სანიტარიული ზედამხედველობა რაიონის (ქალაქის) ზოგადსაგანმანათლებლო  
სკოლებზე, სკოლა-ინტერნატებზე და ბავშვთა სახლებზე მოსწავლეთა საზოგადოებრივი  
კვების გაუმჯობესებისათვის. სისტემატურად შეისწავლონ კვების კომბინატებში, საბაზო და სასკოლო სა-  
სადილოებსა და ბუფეტებში სანიტარიული წესების დაცვის, კვების პროდუქტების  
დამზადების, შენახვისა და გაცემის მდგომარეობა და მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება გამოვლინებულ  
ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრისათვის, საჭიროების შემთხვევაში  
საკითხი განსახილველად დააყენონ რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების წინაშე.

5. 2. გაატარონ ღონისძიებანი სსრ კავშირის ჩანმრთელობის დაცვის  
სამინისტროს 1983 წლის 24 აპრილის № 189 ბრძანებით დამტკიცებული  
„სამედიცინო პერსონალის სკოლაში მუშაობის ინსტრუქციის“ შესასრულებლად,  
ბავშვთა პოლიკლინიკების აქტიური მონაწილეობით დააწესონ კონტროლი  
მოსწავლეთა და აღსაზრდელთა ჩანმრთელობაზე, გამოავლინონ დიეტური  
კვების საჭიროების მქონე კონტინგენტი და დააწესონ კონტროლი მის  
რაციონალურ კვებაზე.

5. 3. პერიოდულად შეამოწმონ კვების ბლოკებში, საბაზო და სასკოლო  
სასადილოებსა და ბუფეტებში მომუშავე პერსონალის ჩანმრთელობის  
მდგომარეობა და დაამყარონ მკაცრი კონტროლი ბავშვთა კვების  
საკითხზე, შეისწავლონ კვების ფაქტობრივი მდგომარეობა კვების  
ფიზიოლოგიურ ნორმებთან შესაბამისად. დარღვევების გამოვლინების  
შემთხვევაში საქმე განსახილველად პროკურატურას გადასცენ.

6. რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებებმა, ვაჭრობის,  
სამომხმარებლო კოოპერაციისა და ჩანმრთელობის დაცვის ადგილობრივმა  
ორგანოებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 ივნისის  
№ 418 დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების შედეგებზე მოხსენებითი  
ბარათი წარმოუდგინონ ვაჭრო-

ბის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებსა და ცეკავშირის გამგეობას ყოველი წლის იანვარში.

7. საქართველოს სსრ განათლების, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა და ცეკავშირის გამგეობამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 20 ივნისის № 418 დადგენილების შესრულების მდგომარეობა ყოველწლიურად ერთობლივად შეისწავლონ რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში (შერჩევით) და შედეგები განიხილონ გაერთიანებული კოლეგიების სხდომებზე ყოველი წლის მარტში.

8. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების სამმართველოს (ამხ. თ. გორგოძე), ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს (ამხ. ებრალიძე), საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი), საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს (ამხ. ე. ჯანელიძე).

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ნ. შ. ვასაძე

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ა. მოჰსესიანი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ი. მენაღარიშვილი

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე პ. შავიშვილი



# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გ ა ლ ა წ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე  
წლისთავისათვის მზადების თაობაზე“ სკკპ ცენტრალური  
კომიტეტის დადგენილების შესრულების შესახებ  
18 მარტი 1987 წელი

ახლოვდება დიდი ოქტომბრის 70 წელი. საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი დღესასწაული.

მომავალ იუბილეს, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987 წ.) პლენუმზე აღინიშნა, საბჭოთა ხალხი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ღრმა გარდაქმნის ვითარებაში ხვდება. მთელ ხალხთან ერთად გარდაქმნისათვის გაშლილ მუშაობაში აქტიურად ჩაება რესპუბლიკის მასწავლებლობაც, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს შრომის შედეგებისადმი თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამალღებისა და მუშაობაში შაბლონისა და ფორმალიზმის აღმოფხვრის ამოცანები, გამოძებნოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შინაარსისადმი პრინციპულად ახლებური მიდგომის გზები.

სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოებისათვის მნიშვნელოვან სახელმძღვანელო დოკუმენტად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისათვის მზადების შესახებ“.

დადგენილებაში, რომელიც საბჭოთა ხალხს მოუწოდებს ფართოდ აღნიშნოს დიდი ოქტომბრის 70-ე წელი, აღნიშნულია იმის აუცილებლობა, რომ „...იუბილესათვის მზადება გამოყენებულ იქნეს როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების, სსრ კავშირის მთელი მშრომელების შრომითი, პოლიტიკური და სულიერი აქტივობის შემდგომი ამალღების მნიშვნელოვანი ფაქტორი“.

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისათვის მზადების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.
2. დამტკიცდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).
3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის



სახალხო განათლების სამმართველომ:

— გაშალონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასაბუთო ხალხისადმი მიმართვის ფართო განხილვა დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით:

— წარმართონ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და დაწესებულებების მთელი მუშაობა ღირსშესანიშნავი იუბილეს მომზადებისაკენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა განხორციელების, სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987 წ.) პლენუმის მითითებათა პრაქტიკული შესრულების საქმეში საგრძნობი წარმატებების მისაღწევად:

— აქტიურად გამოიყენონ იუბილესათვის მზადება კომუნისტური პარტიის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მზადყოფნის სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის მიმართულებით მუშაობის გასაძლიერებლად.

4. ვახეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. რ. დვალისძე, რ. ძერია) გააშუქონ რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობა.

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაეკისროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,  
მინისტრი ნ. შ. პასაძე

**დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმა**

1. სახალხო განათლების დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია.

მარტი

საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველო

2. ისტორიის მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება თემაზე „აღზარდოთ ახალი საზოგადოების შეგნებული მშენებელი“.

მარტი

თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო



3. ღონისძიებათა ჩატარება ხალხური შემოქმედების მე-2 სრულად საკავშირო ფესტივალთან დაკავშირებით:

— მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების ოლიმპიადა  
მარტი

— პოლიტიკური და საშხედრო-პატრიოტული სიმღერის კონკურს-ფესტივალი

მარტი-აპრილი

— სიმღერისა და წიგნის კვირეულები  
მარტი

— კვირეული „მხატვარი და ბავშვები“  
აპრილი

— რესპუბლიკური კონკურსი „ნორჩი ტექნიკოსები და ნატურალისტები — სამშობლოს!“

მაისი

— საბავშვო და საყმაწვილო კინოს კვირეული  
მაისი

— საბავშვო ნახატის გამოფენა  
ოქტომბერი

— ნორჩ კინომოყვარულთა რესპუბლიკური ფესტივალი  
ნოემბერი

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

4. ინტერნაციონალური შეგობრობის კლუბების დათვალიერების გამარჯვებულთა რესპუბლიკური შეჯიბრება.

მარტი

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

5. მოსწავლეთა 41-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია.

მარტი

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

6. ნორჩ მექანიზატორთა რესპუბლიკური კონკურსი.

აპრილი

შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილება

7. მოსწავლეთა 35-ე სპარტაკიადის გეგმით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეცხრეკლასეულ მოსწავლეთა პირველობა ტანვარჯიშში.

აპრილი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო



8. რესპუბლიკის მოსწავლეთა ფინალური პირველობა „საქართველოს სტარტების“ პროგრამის მიხედვით.

მაისი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო

9. მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებზე ამიერკავკასიის სამეცნიერო--პრაქტიკულ კონფერენციაში რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა მონაწილეობა (მომხმე ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო განათლების მუშაკთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ინტერნაციონალური კავშირების განვითარების მიმართულებით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ერთობლივ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად).

მაისი

სკოლების სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

10. საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის გაუმჯობესებისა და სკოლისათვის ბავშვთა მომზადების პრობლემებზე რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარება.

მაისი-ივნისი

11. მოსწავლეთა რესპუბლიკური შეჯიბრება სპორტის ტექნიკურ სახეობებში.

ივნისი-ივლისი

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

12. სკოლამდელი დაწესებულებების ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი.

ივნისი

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

13. „ოქტომბრელთა ლაშქრობა“ — პიონერ-მოსწავლეთა რესპუბლიკური ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი ესტაფეტა

ივნისი-ოქტომბერი

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

14. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ნორჩ ტურისტთა შეკრება წითელ ხიდთან (საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების ერთობლივ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად)

სექტემბერი

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

15. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორ-

მის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შექმნე მისწავლეთა შრომიტი სწავლების. აღზრდის, პროფესიული ორიენტაციისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის პრობლემებთან დაკავშირებით ზონალური თათბირ-სემინარების ჩატარება.

სექტემბერი-ოქტომბერი

შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილება

16. რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება თემაზე „სასწავლო პროცესის ინტენსიფიკაცია სკკპ 27-ე ყრილობისა და ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შექმნე“.

სექტემბერი-ოქტომბერი

საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველო, სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი

17. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის სამხედრო-პატრიოტული მუშაობის დათვალიერება-კონკურსის შედეგების შეჯამება.

ოქტომბერი

დაწყებითი სამხედრო მომზადების სამმართველო

18. რესპუბლიკის სახალხო განათლების დაწესებულებებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებების ჩატარება.

ნოემბერი

განათლების სამინისტროს, სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა



# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებები

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის  
ლოთოების, ნარკოზანის, თამბაქოს ჟვის გავნე ჩხვიების  
დაძლევის ღონისძიებათა შესახებ

18 მარტი 1987 წელი, № 98

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სახალხო განათლების ორგანოები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები თანმიმდევრულ, დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებენ სახელმწიფოებრივი, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა პირადი და კოლექტიური პასუხისმგებლობის გაზრდის, პროფესიული და ხელოვნებისა და სასკოლო რეჟიმის მტკიცედ დაცვისათვის. დაისახა და ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი მოსწავლეთა შორის კომუნისტური მორალისა და ზნეობის პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად, ლოთობის, ალკოჰოლიზმის, ნარკოზანის მავნე ჩვევების დასაძლევად.

ამასთანავე, ყოველად აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ მთელი რიგი სკოლების ხელმძღვანელები, პედაგოგები სათანადო მონღომებთა და დაინტერესებით არ ეკიდებიან ლოთობისა და ალკოჰოლიანი სასმელების, ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებისაკენ მიდრეკილების მქონე მოზარდების გამოვლენის საქმეს, სათანადოდ არ ამზადებენ და ატარებენ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ სამუშაოებს. სწორედ ასეთი დამოკიდებულების შედეგია რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა მიერ ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვის ფაქტების გამოვლენა შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა მიერ ქ. ზუგდიდში, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში. აღრიცხულია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც მოზარდი სისხლის სამართლის დანაშაულს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ჩადის (ქ. თბილისის ორჯონიკიძის, საქარხნო, ხაშურის, თელავის რაიონები). შესამჩნევად გაიზარდა თამბქოს მწვეველთა რიცხვიც. ყოველად მოუთმენელია ის გარემოება, რომ უკანასკნელ დროს თამბაქოს წვეთი გატაცების ტენდენცია შეინიშნება მოსწავლე გოგონებშიც.

არაერთგზის შესხენების მიუხედავად, ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის სახალხო განათლების განყოფილება დღემდე ვერ ახერხებს და მთელი სერიოზულობით არ ეკიდება ლოთობისა და ალკოჰოლიანი სასმელების, ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებისაკენ მიდრეკილების მქონე, თამბაქოს წვეთი გატაცებულთა წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის წარმართვის საქმეს. ნარკოლოგიურ სამსახურებთან ერ-





თად არ ახდენენ ექვემდებარებულ მოზარდთა ღრმა სამედიცინო შემოწმებას. სათანადო დონეზე არ წარმართავენ მოსწავლეებთან და მათ ქმობლებთან ლოთობის, ნარკომანიის ადერულ ასაკში გათვალისწინებულ პროფილაქტიკურ და ახსნა-განმარტებით მუშაობას.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების საქმის უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით განახორციელონ საჭირო პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებანი, გამოიყენონ საზოგადოებრივი ზემოქმედების ყველა ზომა (სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის, თვითმმართველობის ორგანოების, მშობელთა საზოგადოებების შესაძლებლობანი) მოზარდთა შორის ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღების, თამბაქოს წევის მანე და დამლუპველი ჩვევების მთლიანად აღმოფხვრისათვის. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებამდე, პედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივებამდე, მშობლებამდე დაიყვანონ განათლების სამინისტროს კატეგორიული მოთხოვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

1. 2. შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად აწარმოონ ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიღებაში ექვემდებარებულ მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება. ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი მიდრეკილების მქონე მოზარდების გამოვლენის მიზნით სისტემატურად მოაწყონ რეიდები სკოლის სამოქმედო მიკრორაიონებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ექვემდებარებულთა ბინებში.

1. 3. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის, ლოთობის, ნარკომანიის ფაქტების გამოვლენისას მკაცრად და სავანგებოდ იმსჯელონ და მხილებულ არასრულწლოვანთა მიმართ გაატარონ სათანადო ადმინისტრაციული ზომები. ამასთანავე, ფაქტის გამოვლენისას 24 საათის განმავლობაში დაუკავშირდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს (ტელ. 95-68-43) და აცნობონ არსებული მდგომარეობის შესახებ, ხოლო წერილობითი ინფორმაცია გამოგზავნონ 10 დღის ვადაში.

2. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

მინისტრი ნ. შ. პასაძე

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.

76455

ბოლო დროს რესპუბლიკაში მკვეთრად გაიზარდა ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის მაჩვენებლები.

1986 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად გარდაიცვალა 42 და დაშავდა 185 ქვეითად მოსიარულე და ველოსიპედისტი ბავშვი.

შექმნილი მდგომარეობა იმაზე მიუთითებს, რომ სკოლებსა და სკოლაძღველ დაწესებულებებში ჯერ კიდევ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საგზაო მოძრაობის წესების სწავლებას. მოზარდთა შორის საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის აღკვეთა-აცილებისათვის გამიზნული ღონისძიებანი ნაკლებად ეფექტურია და ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

სკოლებში სათანადო დონეზე, ზოგჯერ კი საერთოდ არ ტარდება ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესების სწავლების 10 საათიანი პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობა, შედგენილი არ არის მათი ჩატარების გრაფიკი კლასების მიხედვით, ნაკლები ყურადღება ექცევა მასწავლებლებისათვის სათანადო მეთოდური დახმარების გაწევას, არ ხდება მუშაობის წარმართვა სახელმწიფო ავტონსპექციის მუშაკებისა და (სახელმწიფო) საზოგადოებრივ ინსპექტორებთან ერთად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო კონტროლის გაძლიერებისა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით საჭიროდ თვლის მიმდინარე სასწავლო წლიდან მე-8 კლასებში შემოღებულ იქნეს ჩათვლები ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესებში.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. სასწავლო წლის ბოლომდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეამოწმონ ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესების სწავლების მდგომარეობა და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ვითარების გამოსასწორებლად.

1. 2. სისტემატურად მოაწყო სემინარები და კონსულტაციები მასწავლებელთათვის ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესების თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე, სახელმწიფო ავტონსპექციის მუშაკებისა და საზოგადოებრივი ავტონსპექტორების მონაწილეობით.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

2. 1. შეადგინონ და თვალსაჩინო ადგილზე გამოაქრან საგზაო



მოდრაობის წესების 10 საათიანი პროგრამით გათვალისწინებული ცადინეობების ჩატარების გრაფიკი კლასების მიხედვით, დააწესონ მკაცრი კონტროლი მის შესრულებაზე.

2. პერიოდულად მოაწიონ მოსწავლეთა შეხვედრები სახელმწიფო ავტონისპექციის მუშაკებთან. პრაქტიკაში დანერგონ ვიქტორინების, დილა-საღამოების, კლასებს შორის შეჯიბრებების ჩატარება ავტოსავზაო მოძრაობის წესების ცოდნაზე.

2. 3. საშეფო ორგანიზაციებთან ერთად ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მიიღონ ზომები სკოლებში სავზაო მოძრაობის წესების სწავლებისათვის განკუთვნილი კუთხეების, კაბინეტების, ავტოქალაქებისა და ავტომოედნების მოსაწყობად.

2. 4. ორგანიზებულად ჩაატარონ მე-8 კლასებში ჩათვლები სავზაო მოძრაობის წესების ცოდნაში, რისთვისაც წინასწარ შეადგინონ ჩათვლების ჩატარების გრაფიკი. მკაცრი კონტროლი დააწესონ ჩათვლების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

3. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ხარქუა).

**მინისტრი ნ. შ. ჰასაძე**

1986—1987 სასწავლო წელს ზამთარში VIII და X (XI) კლასებში ფიზიკურ კულტურაში ჩათვლების შესახებ

7 აპრილი 1987 წელი, № 126

1985—1986 სასწავლო წელს VIII და X კლასებში ფიზიკურ კულტურაში ჩატარებული ჩათვლების შესწავლამ ცხადყო, რომ რიგ სკოლებში ისინი ჩატარდა კეთილმოუწყობელ სპორტულ ბაზებზე, მოსწავლეთა სათანადო მომზადების გარეშე. ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელის მიერ ჩათვლების ჩატარების მიზნები და ამოცანები სრულად არ იქნა დაყვანილი პედაგოგიურ კოლექტივებამდე, მშობლებამდე, ფიზკულტურულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებამდე, რამაც მოსწავლეთა უმრავლესობის მოუმზადებლობა და ჩათვლების ცალკეულ სახეებში სასწავლო ნორმატივების შეუსრულებლობა გამოიწვია. ჩათვლების დროს ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა მიერ ნაჩვენები შედეგების სასწავლო წლის მონაცემებთან შეუსაბამობას.

ჩათვლების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და



რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისში ხალხო განათლების სამმართველომ, ზოგადსაგანმანათლებლო ბის ხელმძღვანელებმა:

— ძირეულად გარდაქმნან დამოკიდებულება ფიზიკური კულტურის საგნისადმი, გააძახვილონ ყურადღება და გაატარონ ყველა ზომა, რათა 1986—1987 სასწავლო წელს გამოსაშვებ კლასებში (VIII—X (XI) ჩათვლები მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარდეს. ამ მიმართებით გათვალისწინებულ იქნეს გასულ სასწავლო წელს დაშვებული შეცდომები.

ჩათვლების ჩატარების ადგილის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ დროულად იქნენ ინფორმირებული მოსწავლეები, პედაგოგიური კოლექტივები, მშობლები, ფიზკულტურული ორგანიზაციის, სამხედრო კომისარიატისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ჩათვლების ჩატარებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა შორის მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას და უნდა ტარდებოდეს, როგორც შრომისა და სამშობლოს დაცვისადმი მათი მზადყოფნის საზოგადოებრივი დათვლიერება.

კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს (ამხ. მ. მნათობიშვილი).

**მინისტრი ნ. ზ. ვასაძე**

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
ცირკულარული წერილები**

მოსწავლე ახალგაზრდობაში ათეისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების შესახებ

26 მარტი 1987 წელი, № ფ-1-859/4-ფ

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ეწევიან მოსწავლე ახალგაზრდობაში ათეისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, მათში ათეისტური რწმენისა და შეხედულებების გამომუშავებისათვის. აღნიშნულის მიუხედავად კვლავ შეინიშნება ახალგაზრდობის ერთი ნაწილის დაინტერესება საეკლესიო ატრიბუტებით, წეს-ჩვეულებებითა და დღესასწაულებით, რაც ნაწილობრივ იმის შედეგიცაა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივები ყოველთვის ერთნაირი დამაჯერებლობით



ვერ ახერხებენ რელიგიის რეაქციული არსის ახსნასა და განმარტებულ თანმიმდევრულად ვერ უპირისპირებენ საგანმანათლებლო და მხედველობით ღონისძიებებს ოჯახურ ყოფასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სტიქიურად შემოჭრილ და უკვე ადამ-წესად ქცეულ მავნე მოვლენებს. უფრო მეტიც, პედაგოგთა გარკვეული წრე თვითონ ვანიცდის რელიგიის გავლენას. არ შესწევს უნარი კრიტიკულად დარაზმოს მოსწავლე ახალგაზრდობა არაჯანსაღი საზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ. განსაკუთრებით აქტიურდება კულტის მსახურთა საქმიანობა საგაზაფხულო რელიგიური დღესასწაულების დღეებში, როდესაც სპეციალურად დამუშავებული ხერხებითა და მეთოდებით ცდილობენ ახალგაზრდების მიზიდვას საეკლესიო რიტუალებში მონაწილეობის მისაღებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გვევლებათ:

— მიიღოს გადაჭრული ზომები რელიგიურ დღესასწაულებში მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობის აღსაკვეთად, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს მორწმუნე ოჯახიდან გამოსულ მოზარდებთან, მათ მშობლებთან, ოჯახის სხვა წევრებთან ინდივიდუალურ მუშაობას, რელიგიური დღესასწაულის დამსწრე ახალგაზრდების გამოვლენას და საზოგადოებრივ საქმიანობაში მათ აქტიურად ჩაბმას.

— ათეისტური მუშაობის მიზანმიმართულად წარმართვისათვის საჭიროა შეიმუშაოს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ერთიანობას, სასწავლო დისციპლინების შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას.

— სახალხო განათლების ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობითა და განსაკუთრებული პრინციპულობით განიხილოთ საბჭოური ცხოვრების წესებისაგან გადახრებისადმი პედაგოგიური კოლექტივების შემრიგებლური დამოკიდებულების შემთხვევები.

**მინისტრის მოადგილე ბ. მ. თალბაქვაძე**

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1987 წლის 6 მარტის № 13-მ ცირკულარული წერილის თანახმად. გაცნობებთ, რომ სოფლის იმ მცირერიცხოვან საშუალო სკოლებში, სადაც მთავრობის დადგენილებით შემოღებულია ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობის სწავლება, თუ სკოლების ტერიტორიული დაშორების გამო შეუძლებელია ორ-სამ საშუალო სკოლაში ერთი საწარმოო სწავლების ოსტატის დანიშვნა, მაშინ აღნიშნული თანამდებობის დადგენა უნდა მოხდეს შემდეგი გაანგარიშებით:

